

სახელმწიფო თავისუფლების პრინციპისა და კონტრაქტების
იძულების ურთიერთმიმართება

ანა ფარეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ხელმოწერა:-----ანა ფარეიშვილი.

თარიღი:06.07.2015

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპი, როგორც მრავალფეროვანი სახელმეკრულებო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების საშუალება. გაანალიზებულია, ამ პრინციპის რეალიზაციის შესაძლო უარყოფითი შედეგები და მათ აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებები. აქცენტი კეთდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სახელმეკრულებო თავისუფლების მასშტაბები სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის კუთხით საშიშ სახეს იძენს და საუბარია ამ საფრთხის აღკვეთის სამართლებრივ მექანიზმზე-კონტრაქციების იძულების სახით. აღნიშნული საკითხების განხილვა, საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს კითხვას, რა ურთიერთმიმართება არსებობს სხელმეკრულებო თავისუფლებისა და კონტრაქციების იძულების ინტიტუტებს შორის, ხომ არ ეწინააღმდეგებიან ისინი ერთმანეთს და რა მიზანს ემსახურება მათი არსებობა სამოქალაქო სამართალში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თავისუფლება, შეზღუდვა, იძულება.

Abstract

This work considers the principle of contractual freedom as a mean of forming various contractible relationships and the way of free personal development. The possible disadvantages of the realization of this principle and the measures of their prevention are also considered in it. It focuses on the cases when the measures of freedom of contracts gets dangerous from the point of civil rotational stability and legal mechanism of preventing this danger – coercion of contractual partner is also discussed in the paper. Discussion of above mentioned issues allow us to answer the question what kind of relationship contractual freedom and the institutes of contractual partner's coercion have, whether they oppose each other or not, and what the aim of their existence in civil law is.

KeyWords :freedom, restriction, coercion.